

ახალგაზრდა მამაკაცურიობა თბილისის ცენტრალურ უბანში

გიორგი ურჩუხიშვილი



ახალგაზრდა მამაკაცურობა თბილისის ცენტრალურ უბანში

(ერთი შემთხვევის შესწავლა)

ავტორი: გიორგი ურჩუხიშვილი

კვლევა არ არის რეპრეზენტატიული და ავტორის მიზანს არ წარმოადგენს ნაშრომში მოცემული სოციალური მოვლენებისა თუ შედეგების ყველა ქართველ ახალგაზრდა მამაკაცზე განზოგადება.

ავტორი მადლობას უხდის რესპონდენტს. რომ არა მისი ჩართულობა, ბევრი საინტერესო მოვლენა ვერ მოხვდებოდა აღნიშნულ ნაშრომში.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**
თბილისი
სამხრეთ კავკასია

თბილისი 2020

სარჩევნი

პროლოგი	4
I ახალგაზრდა მამაკაცურობა	6
II მეცნიერული ახალგაზრდა მამაკაცურობა	7
III გაზრდა/დაკაცება	9
IV საუბარი/სიჩუმე	13
V მამაკაცური უპირატესობა	16
VI სივრცის დაცვა	19
VII სექსი, ემოციები, ინტიმურობა	23
VIII ტრანსგრესიები	27
IX კაცთან კონფლიქტის შიში	29
ეპილოგი	31
ბიბლიოგრაფია	32

ილუსტრაცია გარეკაზე: სოფო მამალაძე

პროლოგი

მეფის რუსეთში, იმპერიის ფარგლებში მცხოვრები ახალგაზრდა კაცები სარჩოს მაძიებლებად, ხოლო ქალები მეოჯახე, მზრუნველ ადამიანებად იზრდებოდნენ. ბოლშევიკებმა თითქოს შეცვალეს ეს მიდგომა და ქალებიც გამოიყვანეს შრომის ველზე, მაგრამ კაცებს, ქალებთან შედარებით, მაინც დაუტოვეს პრივილეგია, ოდნავ მეტი შემოსავლის, ე.წ. ჯიბის ფულის სახით, რომლითაც მშრომელი კაცი სამსახურის შემდეგ, ძმაკაცებთან ერთად იქეიფებდა და ამ კავშირით საკუთარ მამაკაცურობას განამტკიცებდა. ეს იყო „გმირი მუშაკაცი“ ხელოვნურად შექმნილი ხატი, რომლითაც საბჭოთა კაცების უმრავლესობა ამყობდა. დღისით მუშაობდა, საღამოს კი ქეიფობდა ძმაკაცებთან ერთად. სახელმწიფოს ისინი საკუთარ კალთაზე ჰყავდა გამობმული ტოტალიტარული მმართველობის გზით. ყველანი დიდი საბჭოთა ოჯახის ვაჟებად ითვლებოდნენ, რომლებსაც თავად სახელმწიფო აძლევდა სამუშაოსა და კაცურ პრივილეგიებს. ეს „გმირი მუშაკაცი“ პოსტსაბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად პოსტკომუნისტურ სივრცეში, ე.წ. პერესტროიკის შედეგად წარმოქმნილმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა შეცვალა¹. პოსტსაბჭოთა და ქართველი კაცები დაიბნენ. ისინი აღარ წამოადგენდნენ ძლევამოსილი იმპერიის ნაწილს და, მით უმეტეს, გმირ მუშაკაცებს. აღარც სამუშაო იყო და აღარც „ქეიფისთვის“ გამოყოფილი ჯიბის ფული. საჭიროება მოითხოვდა, შექმნილიყო ახალი სოციალური მოვლენა, რომელიც არსებული ტრანსფორმაციული პატრიარქატის პირობებში თავიდან ჩამოაყალიბებდა პოსტსაბჭოთა ქართულ მასკულინობებს. ეს სიახლე ნაციონალიზმი და ნეოლიბერალური ერი-სახელმწიფო აღმოჩნდა. მათ მოგვიანებით ახალი ტიპის ქართული მასკულინობები დაეყრდნო, რომლებიც საწყის ეტაპზე მხოლოდ ეროვნულობასთან დაკავშირებით გამოიხატებოდა². საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ნაციონალიზმმა და არსებულმა მასკულინობამ შედეგად რამდენიმე ეთნიკური კონფლიქტი, სამოქალაქო ომი, მთელი ქვეყნის მასშტაბით კრიმინალური დაჯგუფებების შექმნა და ქურდული მენტალიტეტის აღორძინება მოიტანა, რასაც ათასობით ახალგაზრდა მამაკაცი შეეწირა³.

ქართულ მასკულინობებს მნიშვნელოვანი ცვლილება ვარდების რევოლუციის შემდეგ უნდა განეცადა, როდესაც შეიქმნა სახელმწიფო ინსტიტუტები და

1 Ashwin S. Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia; 'Once we were kings': male experiences of loss of status at work in post-communist Russia; Marina Kiblitkaya; Routledge; London and New York; 2001, PP. 90-105.

2 შეგიძლიათ იხილოთ აია ბერაიას ნაშრომი - „ნაციონალიზმი და ჰეგემონური მასკულინობა პოსტსაბჭოთა საქართველოში“.

3 მაგალითად, აფხაზეთის ომში დაიღუპა დაახლოებით 9,000-მდე (ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეები), დაიჭრა 10,000 და დაიკარგა 1,500-ზე მეტი ადამიანი (იხილეთ წყარო: http://www.hrw.org/legacy/reports/1995/Georgia2.htm#P117_4464); სამოქალაქო ომის დროს, ერთ-ერთი მრავალათასიანი საპროტესტო მსვლელობისას კი, საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების მონაცემებით, მოკლული იქნა 23 და დაჭრილი 183 მშვიდობიანი დემონსტრანტი; ოსეთის კონფლიქტის დროს, ვარაუდობენ, რომ გარდაიცვალა 2000-4000 ადამიანი.

მანამდე ქუჩაში არსებული ძალადობა და მისი კონტროლი სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა. თუმცა, ძალადობა, როგორც მასკულიზაციის გამოხატვის მთავარი ფორმა, ვარდების და პოსტვარდების რევოლუციურ ეტაპზეც შენარჩუნდა. მივიღეთ ისეთი მოვლენები, როგორც არის ფემიციდი, ჯგუფური ძალადობა და ბულინგი ბიჭებს შორის⁴. არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა წარმოიქმნა ახალი ტიპის ახალგაზრდა მამაკაცურობები, რომელთა განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება ქალთა და თანატოლთა მიმართ ძალადობა გახდა.

4 მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 2014-2018 წლებში 135 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 64 შემთხვევაში ოჯახური დანაშაული გამოიკვეთა. ასევე, ამავე წლებში დაფიქსირდა 69 მკვლელობის მცდელობის ფაქტი, საიდანაც 46 შემთხვევაში ოჯახური ნიშნით დანაშაულის ჩადენას ჰქონდა ადგილი. 2019 წლის 10 თვის მონაცემებით, სულ 16 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 9 შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა. ამავე პერიოდში 16 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც ოჯახური ნიშანი 12 შემთხვევაში გამოიკვეთა (იხილეთ წყარო: <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/12/public-defender-of-georgia-presents-results-of-its-femicide-prevention-watch>).

I ახალგაზრდა მამაკაცურობა

მართალია, ზემოთ განვითარებული მსჯელობა მასკულინობების ყველაზე ცნობილი მკვლევრის, რეივინ კონელის მოსაზრებებს ეხმიანება, რომ მასკულინობა არის გენდერული კონფიგურაცია, პროექტი, რომელიც ძალაუფლებისა და ძალადობის გამოყენებით ქალებისა და სხვა კაცების დაქვემდებარების გზით ხორციელდება, მაგრამ კონელის მიერ შემოთავაზებული სოციალური ორგანიზების მოდელის⁵ მიმართ ბევრი კითხვა ჩნდება. სწორედ ამ შეკითხვებმა დაუდეს საფუძველი კვლევის ჩატარებას. კონელი უყურადღებოდ ტოვებს ამ კატეგორიებამდე მისვლის გზას, ახალგაზრდა მამაკაცურობას, რომელიც, ვიქტორ საიდლერის მიხედვით, ცალკე მდგომ მამაკაცურობად შეიძლება იქნეს განხილული. აქვე, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მამაკაცურობა განსაკუთრებით ძალადობრივია, ვინაიდან ბიჭებს სჭირდებათ ეს უკანასკნელი, რათა ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება და ყოველდღიურად მოიპოვონ მამაკაცურობა, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობის გამო არ ეკუთვნით, გოგონებისგან განსხვავებით, რომლებსაც, მიუხედავად მცირე ასაკისა, ქალურობა თავიდანვე, დაბადებიდანვე მიეწერებათ⁶. კონელის მასკულინობის სოციალურ ორგანიზებაში ბიჭები რჩებიან „ცუდ ტიპებად“, რომლებსაც ძალაუფლება საზოგადოებამ არ უქა და ისინიც ამ ძალაუფლების გამოყენებით ძალადობენ სხვებზე, რისი საშუალებითაც წარმოქმნიან იერარქიას. კონელი უარყოფს დაშვებას, რომ კაცები და მათი ემოციური ცხოვრებაც შეიძლება დაზიანდეს პატრიარქალური საზოგადოების მხრიდან⁷. ვიქტორ საიდლერი კი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მამაკაცებს კონელის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიებში ვერ მოვაქცევთ. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ახალგაზრდა მამაკაცი ჰეგემონური მასკულინობის წარმომადგენელია და ამიტომ ძალადობს სხვებზე. შესაძლოა, ძალადობას ყველა ტიპის ახალგაზრდა მამაკაცი მიმართავს ქალებისა და თანატოლების დასაქვემდებარებლად. რა სოციალური მოვლენები განაპირობებს თბილისელ ცენტრალურ უბანში მცხოვრებ ახალგაზრდა მამაკაცებში ძალადობას, სწორედ ამის გარკვევას ცდილობს მოცემული ნაშრომი.

5 შესაბამისად, გამოყოფს 4 ტიპის მასკულინობას, რომელთა შორის ურთიერთობა იერარქიულია. ჰეგემონური იმორჩილებს კომპლიციტურს, მარგინალიზებულსა და სუბორდინირებულს (Connell, R.W. (2005). *Masculinities*. Second Edition. Berkeley, CA: University of California Press).

6 ბერეკაშვილი ნ. „გენდერული თეორიების ანთოლოგია“, ჩოლოროუ, „იდენტურობა და სქესის როლი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

7 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“, ZED Books, London, New York, 2006, p. 147.

II მეცნიერული ახალგაზრდა მამაკაცურობა

კანტიდან და ბეკონიდან დაწყებული, ევროპულ კაცურ ფილოსოფიასა და პოზიტივისტურ სოციალურ მეცნიერებაში, მოზარდი კაცი აღქმულია, როგორც სულელი, „გაუთლელი“, ირაციონალური და ემოციური. ამ ხედვის მიხედვით, მოზარდობა ითვლება „გარდამავალ“ მდგომარეობად, ხოლო ახალგაზრდები აღიქმებიან გონებასთან დროებით კავშირგაწყვეტილ არსებებად, რომლებიც გაიზრდებიან და დაიბრუნებენ მას. სწორედ ასეთი აღქმის გამო, რაციონალისტურ ტრადიციაში, პოზიტივისტურ სოციოლოგიაში მოზარდი კვლევის მდუმარე ობიექტად უფროა აღქმული, ვიდრე სუბიექტად, რომელიც ლაპარაკობს და რომელსაც შეგიძლია მოუსმინო და ესაუბრო⁸.

პოზიტივისტური სოციალური მეცნიერებისგან განსხვავებით, აღნიშნული კვლევა ცდილობს, ინფორმაციის შეგროვების დროს მთავარი მოქმედი პირი რესპონდენტი იყოს და თეორიული დასკვნები მის მიერ სუბიექტურად აღქმული თბილისური ახალგაზრდა მასკულიზაციის ანალიზის შედეგად გაკეთდეს. კვლევას აინტერესებს თბილისელი, ცენტრალურ უბანში მცხოვრები, ვარდების რევოლუციის დროს სოციალიზაცია გავლილი, ეროვნებით ქართველი ახალგაზრდა მამაკაცი და მასთან დაკავშირებული სოციალური მოვლენა: **გაზრდა/დაკაცება**, რომლის მისაღწევადაც ახალგაზრდა კაცი რამდენიმე სოციალურ ქვემოვლენას იყენებს, ესენია: **საუბარი/სიჩუმე, მამაკაცური უპირატესობა, სივრცის დაცვა/ჩხუბი, ემოციებისა და სექსუალობის კონტროლი და ტრანსგრესიები**⁹. (კვლევის მიზნების, ამოცანებისა და მეთოდოლოგიის შესახებ იხილეთ სქოლიო¹⁰)

8 იქვე, გვ. 112.

9 დანაშაული/კანონდარღვევა.

10 **კვლევის მიზანია:** ქართულ პოსტსაბჭოთა ახალგაზრდა მასკულიზაციის მეცნიერული ცოდნის შეგროვების ხელშეწყობა. ხოლო **კვლევის ამოცანას** წარმოადგენს: ვიქტორ საიდლერის მიხედვით გამოყოფილ ახალგაზრდა მამაკაცებთან დაკავშირებული სოციალური მოვლენების, ქართული პროზის – ლაშა ბუღაძის რომანის, „ბოლო ზარის“ და რესპონდენტის ნარატივის გამოყენებით თბილისური ცენტრალური უბნის ახალგაზრდა მასკულიზაციისა და მასთან დაკავშირებული სოციალური მოვლენების კონსტრუირება და თბილისური, ცენტრალური უბნების ახალგაზრდა მამაკაცურობების ტიპების შექმნა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი: კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემთხვევის შესწავლის (Case Study) მიდგომა, ხოლო პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია შეგროვდა თვისებრივი მეთოდოლოგიის, კერძოდ, ცხოვრების ისტორიის მეთოდის გამოყენებით. გაანალიზებული და შესწავლილი იქნა მხოლოდ ერთი მთაწმინდელი ახალგაზრდა მამაკაცის ცხოვრების ისტორია.

შერჩევა: შერჩევა არის მიზნობრივი, კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე მორგებული. რესპონდენტი არის თბილისელი, მთაწმინდელი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც თინეიჯერობა გაიარა ვარდების და ზრდასრულობა პოსტვარდების რევოლუციის პერიოდში. რესპონდენტი შეირჩა მისი თხრობის განსაკუთრებული უნარისა და იმ სოციალური მოვლენების კარგად ცოდნის გამო, რომელიც კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან მოდის თანხვედრაში.

მონაცემთა ანალიზი: მონაცემთა ანალიზის დროს გამოყენებული იქნა ნარატიული ანალიზის მეთოდი. ვიქტორ საიდლერის წიგნის „ახალგაზრდა კაცები და მასკულიზაციები“, ლაშა ბუღაძის რომანის „ბოლო ზარი“ და რესპონდენტის თხრობიდან აიგო თეორიული კონცეპტები, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა თბილისური, ცენტრალური უბნის ახალგაზრდული მასკულიზაციები და მათთან დაკავშირებული სოციალური მოვლენები.

აღნიშნული ნაშრომი ორი დამოუკიდებელი სფეროს, სოციალური მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის გაერთიანების მცდელობა¹¹. ახალგაზრდა მამაკაცურობები და მასთან თანმდევნი სოციალური მოვლენები განხილულია მასკულიზაციის მკვლევრის, ვიქტორ საიდლერის წიგნის, „ახალგაზრდა კაცები და მამაკაცურობა“, რესპონდენტის მონათხრობისა და თანამედროვე ქართველი მწერლის, ლაშა ბულაძის რომანის, „ბოლო ზარის“¹² ანალიზის ერთმანეთთან გაერთიანების საშუალებით. დამატებით, გამოყენებულია აკა მორჩილაძის რომანი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. ვიქტორ საიდლერის წიგნიდან ამოკრეფილ იქნა რამდენიმე სოციალური მოვლენა, რომელიც კავშირს ავლენს დასავლელ ახალგაზრდა მამაკაცებთან, შემდეგ ეს მოვლენები განხილული და განალიზებული იქნა რესპონდენტთან ერთად და შეჯამებისათვის, თან დაერთო ლაშა ბულაძის რომან „ბოლო ზარიდან“ ზემოთ ნახსენებ სოციალურ მოვლენებთან დაკავშირებული ნაწყვეტები.

ქვემოთ განხილულია ახალგაზრდა მასკულიზაციის თანმხვედრი ის სოციალური მოვლენები¹³, რომლებიც კონკრეტულად ამ ნაშრომისთვის შეირჩა.

11 მსგავსი გაერთიანების მაგალითი ბევრჯერ გვხვდება დასავლურ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. მაგალითად, ფროიდის ოიდიპოსის კომპლექსის თეორია მანამდე, ძველ ბერძნულ მწერლობასა (ესქილე, სოფოკლე) და დოსტოევსკის „ძებნა კარამაზოვებში“ მოგვევლინა, ხოლო ჯეიმს ჯოისისა და სემუელ ბეკეტის ცნობიერების ნაკადით წერის მეთოდი აღებული იქნა კარლ როჯერსის ფსიქოლოგიური თეორიიდან.

12 დემური 16 წლის საბურთალოელია. მაგრამ ვაკეში დადის სკოლაში და ცდილობს, იქაურ იმიჯს მოერგოს. მოსწონს თავისივე კლასელი ნინო, რომელსაც 21 წლის კრიმინალი ნადრიკუჩა უყვარს. დემური გაუცხოებული და მხოლოდ ანდრიკოსა და ხურციძესთან მეგობრობს. მათი თქმით, ნინოს მხოლოდ მოძველებიჭო ტიპები უყვარს, რომლებიც ფურთხის გუბებზე აყენებენ და დღე და ღამე ქუჩაში დგანან. დემური გადაწყვეტს, ასეთი ბიჭი ითამაშოს. თუმცა დიდი წარმატებით არ გამოსდის. მალე აღმოჩნდება, რომ ნინოს დაქალს, პუტკუნა ნუციკოს დემური მოეწონა და ისიც ცდილობს, დრო სულ მასთან ერთად გაატაროს. ნინო და ნადრიკუჩა კი ერთად არიან, სანამ ბიჭს არ დაიჭერენ. ნინო თავის სიყვარულს არ ღალატობს და ყოველკვირა შეყვარებულს ციხეში აკითხავს. დემური კი დადის ფორტეპიანოზე რუსიკო მასწავლებელთან, დედის დაძალებით. მალე ნადრიკუჩას გამზრდელი დეიდა დაეღუპება, გაზრდებული კი ნინოს დაურეკავს და აგინებს. გოგო ამას სიყვარულის გამოხატვად აღიქვამს. თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელდება. მალე ნადრიკუჩა ციხიდან გაიქცევა და მამაკაცთან დაიძალება. ამ დროს კი კლასელები როკვარსკვლავ ჯამბულას კონცერტზე არიან. ნუციკო ყველანაირად ცდილობს დემურისთან დაახლოებას. ეს უკანასკნელი კი ნინოსთან ურთიერთობას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. ნინო ჯამბულას გაიცნობს და მის მეგობართან ერთად აგარაკზე წავლენ. ამ ამბავს სროლა მოჰყვება. შშობლები ნინოს ამერიკაში გაგზავნით ემუქრებიან. გაზრდებული ნადრიკუჩა ნინოსთან სახლში მისვლას გადაწყვეტს, რაც სავალალოდ დასრულდება. მას მის მიერ მოკლული მოხვევს ნათესავები ჩაცხრილავენ. დემურის კი უცნაური ამბავი დაემართება. თავის ფორტეპიანოს მასწავლებელს, რუსიკოს შეუყვარდება და მისი საყვარელი გახდება. დროთა განმავლობაში ნინოც ავიწყდება. კლასის დამრიგებელს, ქეთო მასწეს კი დარაჯი მერაბა ინგლისელ ჯენიფერზე გაცვლის. მოდის ბოლო ზარის დრო. კლასელები ერთმანეთს ემშვიდობებიან. 10 წლის შემდეგ კვლავ იკრიბებიან, თუმცა აღმოჩნდება, რომ ბევრი არაფერი შეცვლილა.

13 ნაშრომში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე სოციალური მოვლენა.

III გაზრდა/დაკაცება

ყველაზე ფართო სოციალური მოვლენა, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცების ცხოვრებას წარმართავს, არის „გაზრდა/დაკაცება“. ყველა სხვა მოვლენა, რომელიც ნაშრომშია გამოყენებული, გაზრდა/დაკაცების თანმდევ მოვლენად შეიძლება იქნეს განხილული.

ახალგაზრდა კაცი უფროსებისთვის არის ადამიანი, რომელიც „მოზარდობის“ პერიოდში იმყოფება – პატარა და ირაციონალური. უფროსებს ეს არეულ, დაულაგებელ ფაზად მიაჩნიათ, რომელიც ახალგაზრდა კაცმა უნდა „გადალახოს“. უფროსები არ მალავენ, რომ სურთ, მოზარდი რაც შეიძლება მალე „დაკაცდეს“. ახალგაზრდებს კი სძულთ მათი მოზარდად მოხსენიება, უარყოფენ ამ სამედიცინო ტერმინს და მათაც მალე გაზრდა/დაკაცება უნდათ, რომ უფროსების მხრიდან ზრდასრულ, თანასწორ და რაციონალურ ადამიანებად ჩათვალონ.

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში ახალგაზრდა კაცმა, გაზრდისა და დაკაცებისათვის, პირველ რიგში, მშობლებისგან განშორება და დამოუკიდებლად ცხოვრება უნდა მოახერხოს. ეს მოთხოვნა ახალგაზრდა მამაკაცებს მსოფლიოს ყველა კუთხეში მიემართებათ. ამის გამო, ახალგაზრდა მამაკაცი, მოზარდობიდან გაქცევის სურვილით არის შეპყრობილი. სინამდვილეში, როგორც უკვე აღინიშნა, ისინი ამით უფროსების სურვილს ასრულებენ. რესპონდენტებიც იხსენებს, რომ ხშირად გაუგონია დედამისის მხრიდან ფრაზები: „ცოლი უნდა და დაღვინდება, თორე ესე თავს დაილუპავს“ და თვითონაც გაზრდას/დაკაცებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს:

„ეგ მომენტი, მეც და ჩემს ძმასაც დაგვიდგა 11-12 წლის ასაკში და ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მომხრე ვარ მაგისი. ყველა მოზარდს, ბიჭს, ეგ ამბიცია უნდა გაუჩნდეს, რომ დამოუკიდებლად დაადგეს ცხოვრების გზას, მოწყდეს დედის კალთას“¹⁴.

ახალგაზრდა კაცები ცდილობენ, დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნა, გაიზარდონ და გახდნენ დამოუკიდებლები, მაგრამ, ვიქტორ საიდლერის, ლაშა ბულაძის რომანის „ბოლო ზარისა“ და რესპონდენტის მონაცემების ანალიზის მიხედვით, ახალგაზრდებს შესაძლოა დაკაცებაში ხელს თავად უფროსები უშლიან.

რატომ ხდება ასე? როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, ეს ქართველი, საბჭოთა ცხოვრებაგამოვლილი მშობლების გამოცდილებიდან მოდის. საბჭოთა კავშირის დროს „დიდი ოჯახის“ ფუნქცია სახელმწიფოს ჰქონდა, რომლის მინიმოდელსაც წარმოადგენდა „პატარა ოჯახი“. სახელმწიფოს სათავეში იყო მამა, ბელადი, რომელიც ფლობდა და მართავდა თავის მოქალაქეებს. ოჯახში მშო-

14 შენარჩუნებულია რესპონდენტის საუბრის ორიგინალური სტილი.

ბლები იყვნენ ახალგაზრდების „მმართველები“ და მფლობელები. სახელმწიფო ზღუდავდა ყველას, მათ შორის, ახალგაზრდების ცხოვრებას და აკონტროლებდა მათ აღზრდას მშობლების, როგორც სოციალიზაციის აგენტების, გამოყენებით. ახალგაზრდებს, მათი გამოცდილების დავიწროებით, მართავდნენ სახელმწიფო და მშობლები. ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, არ უნდა დაეგროვებინა მეტი ცოდნა და კაპიტალი, რომ მერე არ გაქცეულიყო ჯერ სახლიდან, ხოლო შემდეგ – ქვეყნიდან.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, თანამედროვე გლობალურმა სამყარომ ახალგაზრდებს ცხოვრების მშობლებისგან დამოუკიდებლად გაგრძელების მრავალფეროვანი საშუალებები შესთავაზა. ამას საბჭოთა ცხოვრებაგამოვლილი ქართველი მშობლები მალევე მიხვდნენ, არ მოეწონათ შვილების ცხოვრებაში მეორეხარისხოვანი როლის შესრულება და ცდილობენ, მუდმივად ბავშვებად დატოვონ ისინი, ხელი შეუშალონ მათი დამოუკიდებელი უნარების განვითარებას, რასაც ფინანსური და ემოციური დახმარებით, მათში მადლიერების გრძნობის გაჩენით ახდენენ. ასევე, ხელოვნურად ცდილობენ, საკუთარი მოლოდინები მოახვიონ შვილებს თავზე – შეურჩიონ პროფესია, სამუშაო და ცხოვრების სტილი. ამით ახერხებენ მათ მართვას სიცოცხლის ბოლომდე.

რესპონდენტის მიხედვით, ეს საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის კოპირების გამო განვითარებული თვისებაა. ევროპასა და ამერიკაში მშობლები ხშირად კარგავენ კავშირს საკუთარ თინეიჯერობასთან და ავიწყდებათ, როგორები იყვნენ ახალგაზრდობისას, როგორ არ ემორჩილებოდნენ მშობლებს და ახლა, როდესაც თავად არიან მშობლები, ცდილობენ, მუდმივად გააკონტროლონ ახალგაზრდების ცხოვრება, რაც ამ უკანასკნელთა გაუცხოებასა და უკმაყოფილებას იწვევს¹⁵. რესპონდენტის ნარატივის ანალიზის მიხედვით კი, ქართველი მშობლები¹⁶, რომლებიც საბჭოთა ახალგაზრდები იყვნენ, დასავლელი მშობლებისგან განსხვავებით, კი არ ივიწყებენ საკუთარ ახალგაზრდობას, არამედ კარგად ახსოვთ და როგორც მათ აკონტროლებდნენ და არ ენდობოდნენ, ზუსტად ისევე ექცევიან შვილებს, განსაკუთრებით – ბიჭებს. გოგო მაინც მეორე სქესია მათ აღქმაში და უნდა „გათხოვდეს“¹⁷, წავიდეს. ვაჟიშვილის შენარჩუნების მოთხოვნა არსებობს, ქალიშვილისგან განსხვავებით. საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებელი საქართველოს წარმოქმნის შემდეგ, ტოტალიტარული სახელმწიფოს კონტროლისა და მშობლების მითითებების გარეშე დარჩენილმა ახალგაზრდა ქართველმა კაცებმა ერთმანეთი ამოწყვიტეს და გაანადგურეს. ამან დამატებითი სოციალური მოვლენა წარმოშვა – ესაა თანამედროვე ქართველი მშობლის შიში, ვაჟიშვილი ახალგაზრდა ასაკში არ გარდაეცვალოს, ან გზას არ ასცდეს, არ განარკომანდეს და სხვა. რესპონდენტის მიხედვით, ქართველ მშობლებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გამოცდილება „ზედმეტად მზრუნველებად“ აქცევს, რაც ხელს უშლის თბილისელი ახალგაზრდა მამაკაცების გაზრდა/დაკაცების მოვლენას, ეს კი მათში ბევრ ისეთ თვისებას ახალისებს, რომელიც შემდეგ დევიაციითა და ძალადობითაც შეიძლება გამოიხატოს.

15 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives;“ p. 20.

16 იგულისხმება რესპონდენტის მშობლების თაობა.

17 რესპონდენტის საუბრის ორიგინალური სტილი დაცულია.

„ჩემი და ჩემი ძმის ცხოვრებაში, დედის და მშობლების გავლენა დიდი კი არის, მაგრამ იმდენად დიდი არა, როგორც მას უნდოდა, რომ ყოფილიყო. <...> დედა გამუდმებით გვეძებდა, ან გვეძახდა, ახლოსაც რომ ვიყავით, ეგ იყო მაგისი მთავარი მულამი. ეგ ფაქტი მაგრად არ მომწონდა, არ მსიამოვნებდა, მაგრამ ეშინოდა, ერთი ვითომ ჩვენი ირაციონალურობის, როგორც პატარა ბიჭების, და მეორე, ჩვენი ბავშვობის შავმა ლაქამ, 90-იანმა წლებმა, ახალგაზრდების მიდრეკილებამ ნარკოტიკისკენ, ქურჩისკენ, მოიტანა ალბათ მისი ეს შიში.“

როგორც ვხედავთ, ვიღებთ პარადოქსს: ერთი მხრივ, ქართული საზოგადოება მშობლების, განსაკუთრებით, დედის სახით, ბიჭებისგან ითხოვს გაზრდას/დაკაცებას და, მეორე მხრივ, ამაში მათ ხელს უშლის გადამეტებული პატრონაჟით, „კუდში დევნით“. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კვების მოვლენის გაანალიზებით. რესპონდენტი ხაზს უსვამს იმას, რომ მას არ მოსწონდა დედის ასეთი გადამეტებული ყურადღება კვებასთან დაკავშირებით. დედა სულ დასდევდა, უბანში ეძებდა და ეკითხებოდა: „აბა, ნაჭამი გაქვს? რა ჭამე? მშიერი ხარ?“ არადა, მისი სიტყვებით,

„ვთვლიდი, რომ მოზრდილი ვიყავი და ის რამდენიმე საათი შემეძლო მშობლისგან დამოუკიდებლად ვყოფილიყავი გარეთ. თუ მომშვიდებოდა, მაგასაც მივხვდებოდი და სახლში მივიდოდი და შევჭამდი, თუ არა და, ქურჩაში მაინც შევჭამდი. ეს იყო უკვე გადამეტებული ყურადღება, ძალიან ზედმეტი.“

არის საზოგადოებები, სადაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევენ, ეტაპობრივად გაიზარდონ, დაშორდნენ მშობლებს და ხელს უწყობენ მათ ზრდასრულად გარდაქმნას, მაგრამ, სავარაუდოდ, თანამედროვე ქართული კულტურა, საზოგადოება და, განსაკუთრებით, ქართველი მშობლების ინსტიტუტი, ახალგაზრდა კაცს გაზრდის საშუალებას არ აძლევს. ამის ყველაზე საბაზისო და მარტივი მაგალითი გადამეტებული ყურადღებისა და მარადიული კვების – „აბა, ნაჭამი გაქვს? რა ჭამე? მშიერი ხარ?“ – მოვლენის გარდა, შესაძლოა, კნინობითი სახელების მოვლენაც იყოს; მაგალითად, ლაშა ბულაძის რომანში ვხვდებით გმირებს: ნადრიკურას, ანდრიკოს, დემუციკოს, გოგიკოს. რომანის გარდა, დღემდე ვხვდებით თბილისში ზრდასრულ ახალგაზრდა კაცებს, რომლებსაც ჰქვიათ ნოდარიკო, სანდრიკო, იკაკო, ილიკო, ლევანიკო. რესპონდენტსაც კნინობითი სახელი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ის 27 წლის ზრდასრული მამაკაცია, ყველა მაინც კნინობითი სახელით მიმართავს.

„კი, ძან ბევრია კნინობითი სახელი თბილისში, მეც, ნუ, იკაკოს არ მეძახის არავინ, მაგრამ იკას მეძახიან, მეც უფრო მსიამოვნებს, იკას რო მეძახიან, ვიდრე ირაკლის. თუმცა, მაგას ეხლა დღევანდელ თბილისში კი არა, საქართველოშიც წყალი არ გაუვა, რომ 45 წლის ვახტანგი, ვატატო და ვატოთი რომ მოიხსენიება დედასთვის დღემდე და ისევე ისე, როგორც 14 წლის ბიჭს რომ ექცეოდა, მასე ექცევა, ეგ აშკარაა, რომ ხელისშემშლელია გაზრდაში.“

რესპონდენტის ნარატივის ანალიზის მიხედვით, სახელის კნინობითი ფორმა ბევრ პრობლემას წარმოქმნის. მათ შორის, დევიაციას, ძალადობას, კრიმინალს და მშობლებისგან შვილების მისაჯაჭვად გამოიყენება, რის გამოც ახალგაზრდა კაცები დიდ ბავშვებად რჩებიან მთელი ცხოვრების განმავლობაში.

„სახელს ძალიან დიდი ძალა აქვს, გოგლიკოს რომ ეძახი 40 წლის კაცს, ისიც მუდმივად ბავშვურია და შეიძლება წაუყლევოს, ითამაშოს, საყვარელი გაიჩინოს, მოკლას ვინმე, ზუსტად იმ 14 წლის ემოციურმა ფონმა დაუაროს. <...> წლები რომ გემატება და დამოკიდებულება არ იცვლება შენს მიმართ, არც შენ შეიცვლება რეალურად. სულ დიდ ბავშვად დარჩები. მერე ესეთი დიდი ბავშვები არიან ქართულ პოლიტიკაში, სპორტში, მეცნიერებაში.“

შესაძლოა, ასე იყო საბჭოთა კავშირი საქართველოს მიმართ: საქართველო მისთვის იყო ველური, ემოციური, პატარა და გაუთლელი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც კნინობითი სახელი ჰქონდა „მზიანი საქართველო“, უყვარდა თრობა, სიყვარული, სიმღერა, ჩხუბი და გადამეტებული მასკულიზაცია, ამის უფლებას აძლევდა კიდევ მშობელი – საბჭოთა კავშირი; ოღონდ ეს პატარა კაცი, საქართველო, მისგან არ უნდა წასულიყო დამოუკიდებლად. ეს ვარიაციები შესაძლოა დღემდე გრძელდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. გადამეტებული მზრუნველობა ტოტალიტარიზმის მაჩვენებელია.

ქვემოთ მოცემულია ის სოციალური ქვემოვლენები, რომლის გამოყენებითაც ახალგაზრდა ქართველი კაცი ცდილობს გაზრდას და ამის ნაცვლად, მოძალადე და დევიანტი ხდება.

IV საუბარი/სიჩუმი

დასავლურ კულტურაში, გაზრდის/დაკაცების და უფროსებისგან განსხვავების მთავარი ინდიკატორი **საუბრის** ფენომენია. ახალგაზრდა კაცები არ **საუბრობენ** მშობლებთან. ამის ნაცვლად, ისინი უამრავ საიდუმლოს წარმოქმნიან, რომელთა შენახვა, მათი აზრით, მშობლებისგან დამოუკიდებლობის ნიშანია. ისინი თავიანთ თანატოლებს უყვებიან ისეთ ამბებს, რომლებსაც მშობლებს არ გაუმხელდნენ. შეიძლება უნდოდეთ კიდევ მშობლებისთვის საიდუმლოებების გაზიარება, მაგრამ მათი რეაქციების ეშინიათ, ამიტომ ჩუმდებიან.

რესპონდენტის აზრითაც, ეს სიჩუმე იმიტომ არ ირღვევა, რომ მშობლებიდან არ მოდის ხელშეწყობა, რომ მოდი ვისაუბროთ, დღეს მეც შენგელა ვიქნები და ვილაპარაკოთ რაღაც ისეთ საკითხზე, რომელიც უშუალოდ ეხება იმ ასაკის მოზარდის ცხოვრებასა და პრობლემებს, როგორც მამას და დედას უკვე გაუფლია. თუმცა, რესპონდენტის მონათხრობში ერთი საინტერესო მოვლენა გამოიყვანდა. ქართველი ახალგაზრდა კაცი მშობლებთან სანახევროდაა ჩაკეტილი, მანამ, სანამ მათი დახმარება დასჭირდება.

„მე და ჩემი ძმა ვთამაშობდით, ვმაზაობდით და მე კარგად გამომდიოდა რაღაცების დამალვა, ვიდრე ჩემს ძმას, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, ზუსტად მანდ დადგა ერთ-ერთი საკითხი, როცა პრობლემა იყო, რომ ფული გვჭირდებოდა. კი ვიშოვეთ, მაგრამ რაღაც ნაწილს ველარ ვშოვლობდით და აუცილებელი გახდა, რომ უკვე მშობლებთან მივსულიყავით, ამიტომ მერე კარტებს ხსნი, რაღაც დონეზე შეიძლება იყო ჩუმი, მაგრამ მერე ბოლომდე ჩუმი რომ იყო, ცუდად აისახება შენზე. როცა გჭირდება მშობელი, უმეტესობა მიმართავს. სწორს შვრება. ვინც არ მიმართავს, თავს იკლავს, გადახტაო, ის, ეს, ხო გაგიგონია?“

რესპონდენტის ნარატივის თანახმად, შეიძლება ქართველი თბილისელი ახალგაზრდა კაცი დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებელია, მაგრამ უცბად აღმოაჩენს, რომ არ არის, დგება კატასტროფის წინაშე, მიდის მშობლებთან, „ხსნის კარტს“ და ითხოვს დახმარებას. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, არც იმის შიში ჰქონია, რომ მერე მშობელი ამ დახმარებას დააყვედრებდა. პირიქით:

„მშობლებზე ლაპარაკი, ხო, იმაზე, სადაც გაიზარდე, ვისთანაც გაიზარდე. არც იმის შიში მქონია, რომ წამომაცვედრიდნენ დახმარებას.“

შვილების ღიაობა და მშობლების დახმარებისთვის მზაობა, შესაძლოა ხელსაც აძლევდეს ქართველ მშობლებს, რომ დახმარების შემდეგ მუდამ კალთაზე ჰყავდეთ გამოკერებული მადლიერი ვაჟიშვილი. ხოლო ახალგაზრდა კაცი შესაძლოა სულ ბავშვად დარჩეს იმ იმედით, რომ აუცილებლად დაეხმარებიან, როდესაც რეალურად გაუჭირდება. ეს ორმხრივი შეთანხმებაა. შენ ეხმარები ვაჟიშვილს, ის კი არსად გარბის, შენი ბავშვი შენთან რჩება.

მშობლებთან ჩაკეტილობის გარდა, ახალგაზრდა კაცები ფიქრობენ, რომ დაზარალებუნი, თუ ხმამაღლა ილაპარაკებენ იმ იმედგაცრუებებზე, რომლებიც სოციალური ცხოვრებისას განიცადეს. ფიქრობენ, რომ ნებისმიერი ტრავმა უსიტყვოდ უნდა გადალახონ. დუმილს ამჯობინებენ საუბარს, რომელიც სისუსტის გამომჟღავნების ინდიკატორია და რომელიც შესაძლოა სახის დაკარგვად¹⁸ მონათლოს მათსავე გარემოცვაში. ისინი თვლიან, რომ ემოციებზე საუბარი საერთოდ არ ღირს. ასევე, არ საუბრობენ პირად ცხოვრებაზე¹⁹.

თუ ახალგაზრდა კაცი მუდმივად ცდილობს, სიჩუმითა და ემოციების დამალვით ამტკიცოს კაცობა, მაშინ ის ყოველთვის და ყველასთან, მათ შორის მეგობრებთანაც, მოერიდება საკუთარი მოწყვლადობის ჩვენებას. ახალგაზრდა კაცს თუ რაიმეს შიში აქვს და ის ამას მეგობარს გაუმჟღავნებს, შესაძლოა, მომავალში ეს მოვლენა მის საწინააღმდეგოდ გამოიყენონ და მასკულინური იერარქიის ფსკერზე აღმოჩნდეს. ამიტომ, ახალგაზრდა კაცები სწავლობენ სიტყვების კონტროლს და არ ესაუბრებიან მეგობრებს პრობლემებზე. მდუმარე მეგობრობის მოვლენასთან დაკავშირებით, შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ აკა მორჩილადის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, სადაც ერთ-ერთი გმირი, ზაზა, წუხს მოკლულ მეგობარზე, იქნებ გელაპარაკა პრობლემებზე, მცოდნოდა, ვინ იყო შენი მტერი და დაგხმარებოდიო. იქვე, განმარტავს, რომ მას და გარდაცვლილ მეგობარს შორის იყო მდუმარე მეგობრობა და ასკვნის, რომ ნამდვილი კაცები უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. ამ ახალგაზრდა კაცურ სიჩუმესთან ერთად, კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახური პრობლემების შესახებ გოგონები უფრო ადვილად ლაპარაკობენ სკოლაში, ვიდრე ბიჭები. ეს უკანასკნელნი ამჯობინებენ „სტილიკურ“ სიჩუმეს²⁰. ხოლო სხვა კვლევების თანახმად, კულტურები, სადაც ბიჭებს შეუძლიათ შიშის აღიარება და ამაზე ლაპარაკი, თუნდაც ტირილი, ნაკლებად ძალადობრივია, ვიდრე ის კულტურები, სადაც ისინი ამას ვერ ახერხებენ. რესპონდენტიც ეთანხმება ამ მსჯელობებს:

„რეალურად, რაც მაწუხებდა, ვმაღავდი, რაზეც ვბალამუტობდი და ვლაპარაკობდი, ესე იგი, არ მაწუხებდა. რაც რეალურად მაწუხებდა, არავისთან ვამბობდი.“

ახალგაზრდა კაცები ამჯობინებენ სიჩუმეს რამდენიმე მიზეზის გამო – ერთი, რომ განსხვავება ჰპოვონ მშობლებისგან და ჰქონდეთ საკუთარი საიდუმლოებები, როგორც რესპონდენტსა და მის ძმას ამ კონკრეტულ სიტუაციაში. მეორე, დარწმუნებულები არიან, რომ მშობლები მათ საიდუმლოებებს ვერ გაიგებენ, იმიტომ რომ ისინი მოზარდებად, ირაციონალურ არსებებად მიიჩნევიან. და ბოლოს, იმიტომ, რომ ემოციებსა და იმედგაცრუებებზე საუბარი დაამცირებს მათ მეგობრებისა და სხვა ახალგაზრდა კაცების თვალში. თუმცა, რესპონდენტის თხრობისას გამომჟღავნდა, რომ მისი უბანი იყო მზრუნველი, მეგობრული და ბიჭებს ემოციების ერთმანეთთან გამოხატვა არ უჭირდათ. შესაბამისად, იქ არ იყო არც ძალადობა. და რესპონდენტი დასძენს, სხვანაირი უბანი რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ, ყველას უფრო მეტი საიდუმლო ექნებოდაო.

18 ირვინგ გოფმანის ცნება, დრამატურგიული თეორიიდან.

19 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“, p. 53.

20 იქვე, გვ. 149.

„მზრუნველი გარემო გვექონდა, აი, მობილური მიულწევადი იყო ჩვენთვის, ღარიბები ვიყავით, ხოდა ერთმანეთის ისე კარგად ვიცოდით, დარეკვის გარეშე, ჩაცმულობით, ღამე განათებაც რომ არ იყო, ვცნობდით, ვინ სად იყო, იქ მოვძებნიდით, სადაც ის უნდა ყოფილიყო. ჩვენს უბანში სწორედ მაგიტომ, რომ ერთმანეთთან შეგვეძლო რაღაცეების მოყოლა, ძალადობა არ არსებობდა. ემოციების გამონახვა შეგვეძლო და მაგიტომ“.

ზემოთ განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, საიდღერის, ბულაძისა და რესპონდენტის აზრების გაერთიანებით, პირობითად შეიქმნა თბილისის ცენტრალური უბნის ახალგაზრდა მამაკაცურობები **გაზრდა/დაკაცების** ფენომენთან მიმართებით: ახალგაზრდა კაცი, რომელიც მშობლებს არის მიჯაჭვული, ემოციებს უზიარებს, ყველაფერს უყვება მათ – **დედიკოს ბიჭი**, და ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩუმიად არის და მშობლებისგან დისტანცირდება – **დამოუკიდებელი**. ბულაძის რომანში ისე ჩანს, თითქოს, მშობლებისგან ქართულ სივრცეში დისტანცირებას მხოლოდ უმშობლებო (ობოლი) ახალგაზრდა კაცები ახერხებენ. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდა კაცს ცოცხალი მშობელი ფაქტობრივად დამოუკიდებლობის საშუალებას უსპობს. ანუ, გაზრდის მოვლენასთან მიმართებით ვიღებთ მესამე ფორმას – გარემოებების გამო, შემთხვევით გაზრდილ/დაკაცებულ ახალგაზრდა მამაკაცს, **დამოუკიდებელ ობოლს**. თბილისელ ახალგაზრდა კაცებს გაზრდას რომ არ აცლიან, ეს „ბოლო ზარშიც“ კარგად ჩანს მონაკვეთში, სადაც განხილულია მთავარი გმირის, დემურის დედა: „თამარ ჩიჯავაძე ჭკვიანი და ძლიერი ქალი გახლდათ, ქმარსაც შვილივით უვლიდა. აკი ამიტომაც ამბობდა ხოლმე, ორი შვილი მყავსო“²¹. და „თამარისთვის მუდმივად ბავშვი იყო დემური“²². დედის, როგორც გაზრდა/დაკაცებაში შემაფერხებელი სოციალური აქტორის, როლი მკაფიოდ არის გამოხატული ლაშა ბულაძის რომანში. ამიტომ, ქართული ახალგაზრდა მამაკაცურობისთვის შესაძლოა გაზრდის პირველი ინდიკატორი მშობლებისგან და, უფრო მეტად, დედისგან დამორება იყოს. ეს დასაწყისში ნახსენებ რესპონდენტის ფრაზაშიც ჩანს: „ყველა კაცი უნდა მოწყდეს დედის კალთას.“ თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რეალური მაკონტროლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორი დედაა, ძალის თავი შესაძლოა სხვაგან იყოს დამარხული. როგორც ისევ რესპონდენტის ნარატივიდან მულაგნდება, მამა იყო დედის წამქეზებელი, ოღონდ თავად არ ჩნდებოდა, ვაჟიშვილებს ემოციურ ადამიანად, შესაბამისად, ქალად რომ არ აღექვათ.

„რატო იყო გამძაფრებული დედაჩემი და რატო იყო განზე მდგომი მამაჩემი? და ერთხელაც წავუყურადე, საღამოს, არ ეძინათ ჩემს მშობლებს, ავერიეთ მე და ჩემი ძმა, სახლში რომ მივედი, ეგონათ, რომ ჩემი ძმა ვიყავი, ხმაზე ვერ მიცნო დედაჩემმა და მერე, ოღონდ მერე გავიგე გადალაპარაკება უკვე ჩემზე მამაჩემის, რომ სად არის ის, რას აკეთებს, ოღონდ მამაჩემის ხმა იყო, იდუმალი ხმა, ანუ ფარული კითხვა დედაჩემის მიმართ. <...> დედაჩემის როლი იყო გახმოვანება“.

დედა გამოდის მოტყუებული. მას მოჩვენებით ძალაუფლებას ისევ მამა ანიჭებს, რეალურად კი, უბრალოდ ალაპარაკებს და შავ სამუშაოს ასრულებინებს ვაჟიშვილების კონტროლისა და მართვის პროცესში.

21 ბულაძე ლ. „ბოლო ზარი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ. 38.

22 იქვე, გვ. 41.

V მამაკაცური უპირატესობა

ახალგაზრდა კაცები ხშირად იზრდებიან **მამაკაცური უპირატესობის** განცდით. ხედავენ, რომ მათ დებსა და სხვა გოგონებს უფროსები ეპყრობიან მათგან განსხვავებულად, უფრო დაქვემდებარებულად. მათ და სხვა ბიჭებს კი ისე, თითქოს ისინი უპირატესნი იყვნენ გოგონებზე. ბიჭებს თან დაჰყვებათ კაცობიდან გამომდინარე უპირატესობის განცდა²³. პრობლემებიც სწორედ აქედან იწყება. ხშირად, ახალგაზრდა კაცები დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე; ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც მათ სურთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გოგონები/ქალები დამოუკიდებელ ქცევას ამჟღავნებენ: მათ შორდებიან, ან ურთიერთობის დროს არ ემორჩილებიან, იცვამენ მოკლე კაბას, მიდიან სხვა კაცებთან და ა.შ. ამის გამო შიში იპყრობთ, რომ საკმარისად მამაკაცურები არ არიან – რადგანაც მათ საზოგადოებამ მამაკაცური უპირატესობა აჩუქა და ამის რეალიზებას ვერ ახდენენ. ისინი განიცდიან იმედგაცრუებას და თავს გრძნობენ დაკნინებულ კაცებად. როგორ ცდილობენ დაკარგული უპირატესობის დაბრუნებას? ძალადობით.

ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ ძალადობის ლეგიტიმაციას, სწორედ მამაკაცური უპირატესობის გამოყენებით გაზრდის/დაკაცების დაუოკებელი სურვილი ახალისებს. ქალთა მიმართ ძალადობაზე საუბრისას, სხვადასხვა კულტურაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მამაკაცური უპირატესობა და ის ტრანზიცია, რომელსაც ბიჭობიდან კაცობაში გადასვლა ჰქვია. შესაძლოა, პატარა ბიჭებს ქალების მიმართ ძალადობის პრაქტიკა, რომელიც მამაკაცური უპირატესობის გამო ერგოთ, ზრდასრულობის მოპოვება ჰგონიათ. ბაძავენ ზრდასრულ კაცებს, იმეორებენ ძალადობრივ ქცევებს და, ამავე დროს, თუ ხედავენ, რომ მათი მამა სიბრაზეს დედაზე ანთხევს, შეიძლება გაიზარდონ განცდით, რომ ეს ძალადობა დედებმა დაიმსახურეს და ლეგიტიმურია²⁴. ახალგაზრდა ბიჭებს, ერთი მხრივ, მამაკაცური უპირატესობის გამო ერგოთ ძალადობა, როგორც ქალების დამორჩილების ინსტრუმენტი, და, მეორე მხრივ, მიბაძვა ეხმარება მათ ამ ქცევის ინტერნალიზებაში. მიბაძვას კი ახალისებს მამის/კაცის ქცევა. ახალგაზრდა მამაკაცებმა შეიძლება დომინანტური მასკულინობის განმტკიცებად აღიქვან მოძალადე მამის/კაცის სიტყვები დედის/ცოლის ცემის ან მასზე ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგ: „დაიმსახურა ეს, იმიტომ რომ ბევრს ლაპარაკობს.“ მათ მოსწონთ ზრდასრული მამა/კაცი, რომელიც ქალზე ძალადობს, იყენებს მამაკაცურ უპირატესობას და განკარგავს ქალის თავისუფლებას. და შემდეგ აკოპირებენ ამ სოციალურ ქცევას იმ იმედით, რომ თვითონაც დაკაცებულად, გაზრდილად წარმოჩნდებიან, შეინარჩუნებენ მამაკაცურ უპირატესობას, თუ იმ ქალს შეურაცხყოფენ, რომელიც არ დაემორჩილებათ. ზოგადად, ძალადობრივი ქცევა გადამდებია, როდესაც ადამიანი ქცევის მსგავს ნიმუშს რომელიმე მშობელში ხედავს, მაგრამ ქალებისა და კაცების შემთხვევაში ეს

23 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“, p. 26.

24 იქვე.

განსხვავებულად ინტერნალიზდება. კაცებს ისედაც აქვთ ეს ძალადობა მამაკაცური უპირატესობის გამო, მიბაძვით უბრალოდ წვრთნიან ამ თვისებას და ამ პროცესში „კაცდებიან“. რესპონდენტმა გაიხსენა მომენტები, როდესაც მისი გარემოცვის ახალგაზრდა კაცები განსაკუთრებით მოძალადეები და გაბოროტებულები ხდებოდნენ მაშინ, როდესაც ეგონათ, რომ ქალებს/გოგონებს ვერ „მივაგეს ის, რაც მათ დაიმსახურეს“ და შეიქმნა საშიშროება, რომ ვერ იცავდნენ თანდაყოლილ მამაკაცურ უპირატესობას:

„ახალგაზრდა კაცობაში იყო ეგეთი შემთხვევა, გოგო, რომელიც ვილაცას ხვდებოდა ჩვენიანს და მერე დაშორებულები იყვნენ უკვე, აღმოჩნდა სხვა ბიჭთან ერთად. ამ ბიჭთან ერთად რომ დაინახავდა ეს ჩვენი მეგობარი, გიჟდებოდა, ამის ბოზი დედა მოგტყან, როგორ გაბედა?! არადა, რეალურად აქ ყველაფერი დამთავრებული იყო, სამი თვის ან მეტის, არც მიუწერია ამ ტიპს და არც არაფერი, მაგრამ უცხო ტიპთან რო აღმოჩნდა, ამის ღირსება შეილახა ვითომ.“

რესპონდენტი ჰყვება, რომ ჩხუბების უმეტესობა, რაც დღემდე უნახავს, დაჭრა, მკვლელობა, მოდის აქედან, რომ ქალი თუ მიგატოვებს და სხვასთან წავა, ეს ითვლება მამაკაცური უპირატესობის დაკარგვად და საჭიროა მისი დაბრუნება ძალადობით. გარდა ამისა, ახალგაზრდა კაცები ქალებს საკუთრებად აღიქვამენ და თვლიან, რომ მათ დამოუკიდებელი ქცევის უფლება არ აქვთ.

„ბოლო ზარში“ ნადრიკუჩა თავის შეყვარებულს მოკვლით ემუქრება. მამაკაცური უპირატესობის მოვლენის გამო მიაჩნია, რომ ქალის პატრონია და დაუმორჩილებელი ქცევისთვის (სხვა კაცთან წასვლა), რომელიც მის მამაკაცურ უპირატესობას აკნინებს, უნდა იმოქმედოს, უნდა დასაჯოს ნინჩო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა კაცის მოჩვენებითი ზრდასრულობა კავშირშია იმასთან, თუ როგორ დასჯის ის „დაუმორჩილებელ ქალს“. ამიტომ ვიღებთ კიდევ ერთ ახალგაზრდა მასკულიზაციას, ქალის დამსჯელ, მამაკაცური უპირატესობის დამბრუნებელ ახალგაზრდა მამაკაცს, **მოძალადე ნარცისს**. ამის საფუძველი კი ისაა, რომ ალზრდის პროცესში ბიჭებს მათი სქესის უპირატესობაში არწმუნებდნენ. გარდა ამისა, ახალგაზრდა კაცებს საზოგადოება ავალდებულებს, მამაკაცური უპირატესობის დაკარგვის შემთხვევაში, დაიცვას ის, თუნდაც სხვების განადგურების გზით. გაზრდილად/დაკაცებულად ითვლება ის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც დაიცავს მამაკაცურ უპირატესობას, თუნდაც ეს სისხლის ფასად დაუჯდეს. სავარაუდოდ, ამ მოვლენის ერთ-ერთი შედეგია ფემინიციდი და ჯგუფური ძალადობები თბილისში.

„ესე არ მახსოვს ზუსტად, მაგრამ შეიძლება ერთ-ერთ ჩხუბზე, აი, რა უაზრობაა, წარმოიდგინე, ნამყოფიც კი ვიყო, ესე ვილაც გოგოს გამო, რომელიც, ურთიერთობა დასრულებულია და მაგარი საშიშროებაა, რომ ან აქეთა მხრიდან, ან იქითა მხრიდან ვილაცას მოკლავენ. რას ემსახურებოდა ჩემი იქ ყოფნა, რეალურად არავინ არ იცის, არც ერთის, ვილაცის მამაკაცური ღირსების, კაცობის დასაბრუნებლად, რომელიც რეალურად არ დაუკარგავს მას.“

რომან „ბოლო ზარშიც“ გვხვდება მამაკაცური უპირატესობის წარმოჩენა. მთავარ გმირს, დემურს, დედამისი სხვებზე მაღლა მდგომ არსებად მიიჩნევს. ავტორი ამას დედამისის სნეულებადაც კი მოიხსენიებს, რომელიც სიძულვილს გამოხატავს ყველა იმ გოგოს მიმართ, ვისთანაც დემურს შესაძლოა სასიყვარულო კავშირი ჰქონდეს. დემურის დედას მისთვის არცერთი გოგო არ ემეტება, იმდენად აღმატებულად აღიქვამს თავის შვილს. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ იქმნება მშობლებიდან გამომდინარე, მამაკაცური უპირატესობისგან **გაზულუქებული** ახალგაზრდა კაცის ტიპი – გვარის გამგრძელებელი, სანათესაოს იმედი. დემურთან ერთად, რომანში ვხვდებით ნადრიკურას, რომელიც იმ პერიოდისთვის ჰიპერბოლიზებულ ქუჩურ, ძველბიჭურ მამაკაცურობის ხატს წარმოადგენს და მართალია, დემურისნაირი მშობლები არ ჰყავს, მით უმეტეს დედა, რომელიც მის მამაკაცურ უპირატესობას ფრთას შეასხამდა, მაგრამ სამაგიეროდ ჰყავს გარემოცვა, რომელიც მისი მოძალადეობისა და კაი ბიჭობის გამო აგრძნობინებს, რომ უპირატესია, რადგან კაცია – „კაცური კაცი“. დემურს დედამისი, ნადრიკურას კი გარემოცვა აგრძნობინებს, რომ ისინი უპირატესნი არიან საკუთარი მამაკაცურობის გამო. შეჯამებისთვის, შეიძლება ითქვას ერთი რამ – მნიშვნელობა არ აქვს, რომელ სივრცეში, მაგრამ ახალგაზრდა კაცი საზოგადოების მიერ მაინც ითვლება უპირატესად. ვილაც დედისთვის არის მოწინავე/პირველ ადგილზე მდგომი, ვილაც კი – გარემოცვისა და თანატოლებისთვის.

VI სივრცის დაცვა

შემდეგი მოვლენა, რომლითაც ახალგაზრდა კაცები გაზრდასა და დაკაცებას ცდილობენ, არის **საკუთარი სივრცის, უბნის, უბნელებისა და ქალების დაცვა ჩხუბის გზით**. ისინი ერთიანდებიან უბნურ ჯგუფებში (რომელიც შეიძლება კრიმინალურია, ან ნახევრად კრიმინალური), რომ დაიცვან კონკრეტული სივრცეები, ტერიტორიები და ყველას დაუმტკიცონ თავიანთი ზრდასრულობა, ის, რომ შეუძლიათ ტერიტორიის დაცვა. სივრცეები დაყოფილი და გადანაწილებულია სხვადასხვა ჯგუფს შორის. საშიშია გადაკვეთო ის საზღვარი, რომელიც მკაცრად არის დადგენილი. სივრცული დაყოფის ახალგაზრდა მამაკაცური მესიჯი ასეთია: „ეს ჩვენი სივრცეა და აქ შენ მიღებული არ ხარ“. სამყარო მკაცრად იყოფა მეგობრებად, რომლებსაც უფლება აქვთ სივრცეში შემოვიდნენ და მტრებად – რომლებმაც დისტანცია უნდა დაიცვან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი დასჯის ალბათობა იზრდება²⁵. რატომ ანიჭებენ ამხელა მნიშვნელობას ახალგაზრდა კაცები სივრცის დაცვას? მათ დაბადებიდან დასწავლილი აქვთ, რომ თავი უნდა დაიცვან ძალადობის გამოყენებით იმ შემთხვევაში, თუ სხვა ჯგუფის წევრი მათ ტერიტორიაზე შეიჭრება. ეს შეიძლება ისტორიული მესიერების შედეგი იყოს. ქართველები მუდმივად სივრცეს იცავდნენ და შესაძლოა, უბნებს შორის დაპირისპირება და საკუთარი უბნის დაცვის ვალდებულება სწორედ ამ ისტორიული მესიერებით არის განპირობებული. ახალგაზრდა კაცებმა იციან, რომ მათ მიმართ პატივისცემით განეწყობიან, თუ ძალადობას საკუთარი სივრცის (სახლი, ეზო, უბანი, ქალაქი) დასაცავად გამოიყენებენ. რით ახერხებენ სივრცისა და ქალების დაცვას? რა თქმა უნდა, ჩხუბით.

რესპონდენტის ნარატივშიც აღმოჩნდა უბნის დაცვისა და სხვა უბნის დასაპყრობად გამართული ჩხუბები, როგორც ახალგაზრდა კაცურობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება:

„ესე რო გითხრა, რო სკოლის პერიოდის მერე სადმე წავსულვარ და უბანი უბანზე მიჩხუბია, აღარ. სკოლის პერიოდში, კი, საბურთალოზეც წავსულვართ და გვიჩხუბია ვიღაცა სკოლელებთან, შეიძლება ჩვენი უბნელიც არ იყო, სკოლელი იყო, რა, ორთაჭაღლელები, მაგალითად. სკოლის სივრცეც დაგვიცვია, ჩვენთანაც მოსულან საჩხუბრად სხვები, მაგრამ როგორც კი იზრდები, იკიდებ ეგეთ რალაცებებს.“

მისივე განმარტებით, უბნებს შორის დაპირისპირება ისეთი მძაფრი აღარ არის, როგორც ეს 90-იან წლებში იყო:

25 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“; p. 143.

„უბნების დაყოფა, როგორც ადრე იყო, ვერის საძმო, საბურთალოელები, კულინარიელები, ეგ გაქრა. იმ დობით უკვე აღარ არსებობს, ერთმანეთზე კი არის ქვეცნობიერში დაღეჭილი, მაგრამ, ისე აღარ არის.“

ბიჭები ხშირად ქალის გულისთვის ჩხუბით ამტკიცებენ თავიანთ კაცურ იდენტობას. ტრადიციულად, ეს იყო კაცურობის ნიშანი ქალებთან მიმართებით, რომლებსაც დაცვა სჭირდებოდათ²⁶. კაცები სწავლობენ, რომ უნდა დაიცვან თავიანთი პარტნიორი ქალი, რომელსაც ისეთივე საკუთრებად მიიჩნევენ, როგორც სახლს, ეზოს, უბანსა და სკოლას: „ის ჩემი ქალია და მე უნდა დავიცვა სხვა კაცებისგან.“ დღემდე, მრავალ კულტურაში, ჩხუბისთავობა ამყარებს მამაკაცურობას. ბიჭებმა ბავშვობიდან იციან, რომ მათი მამაკაცურობა მტკიცე და სამუდამო არ არის და მუდმივად დასაცავია. ახალგაზრდა კაცი რომ კაცად შედგეს, აუცილებლად ვინმე ქალის დამცველი მაინც უნდა იყოს.

რესპონდენტის მონაყოლის მიხედვით, ახალგაზრდა კაცები მუდმივად „ბლატაობენ“ და ვითომ „იცავენ“ ქალებს, რომ გარემოცვისა და ამ ქალის თვალში სრულყოფილი მამაკაცები გამოჩნდნენ.

„გოგოსთან თუ ხარ და გარშემო ყველა არ დაგემორჩილება, გგონია, რომ *** ხარ, ან გგონია, რომ ეს გოგო ჩავთვლის **ედ. საინტერესო ის არის, გოგონები იყენებენ ამ მოვლენას, რადგან ქალური უპირატესობა არ არსებობს, ისევე კაცურით მანიპულირებენ, ორმხრივი თამაშია.“

ეს ორმხრივი თამაში კი ძალადობას ახალისებს:

„ბლატაობ და იცავ ამ გოგოს, იმიტომ რომ მერე გგონია, თუ არ დაიცავ და თავს არ მოიგიჟიანებ, ეს გოგოც თავზე წამოგარტყამს და ყურს აგოწვეს, ისევე როგორც დედა შვრებოდა ამას ბავშვობაში. არადა, შენ ხომ უნდა დაამტკიცო, რომ გაიზარდე და დაკაცდი? იმიტომ ამჯობინებ გარეთ ძალადობებსა და სხვების ცემას, ვიდრე მოთმენას, ან უკან დახევას და მერე დაჩმორებას გოგოსთან, როგორც ახალ მშობელთან.“

რესპონდენტი ასევე საუბრობს ისეთ ახალგაზრდა მამაკაცებზე, რომლებიც თავისზე სუსტებს (სოციალურად, ფიზიკურად) სცემენ სხვების დასაანახად, მამაკაცური უპირატესობის სადემონსტრაციოდ.

„ისეთ ტიპებს არჩევდნენ, რომლებზეც იცოდნენ, რომ ბოლომდე ვერ მიაწვებოდნენ. სუ ვეკითხებოდი, ბიჭო, რატო მეთქი?“

26 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“; p. 144.

თავად თვლის, რომ:

„ჩხუბს ყოველთვის ჯობია ლაპარაკი, ჰუმანურია უფრო, ყველას მასე ურჩევნია, ვილაცა ჯაგა თუ არ ხარ, ან მამაკაცური უპირატესობის დაკარგვის განცდით შეპყრობილი. ყველას უფრო ურჩევნია ლაპარაკით მოგვარება კონფლიქტის. ხელების და მუშტების ქნევა არავისთვის სასიამოვნო არ არის.“

თუმცა, დასძენს, რომ ის და მისი ძმა, მამიდან²⁷ გამომდინარე, ყოველთვის დაცულები იყვნენ და კაცურობა დასამტკიცებელი არ ჰქონდათ და არ გამორიცხავს, რომ დაუცველი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მუდამ უწევს მამაკაცურობის დაცვა და დაბრუნება, უფრო მეტად აგრესიული და მოძალადე იყოს.

„ბოლო ზარშიც“ გაზრდისა და კაცობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი დემურისთვის, რომელიც მასკულიზაციის ნაკლებობას განიცდის, თუნდაც სადღაც დისკოტეკაზე უაზროდ, უმიზეზოდ ატეხილი ჩხუბია. ამის მერე ის თავს გაზრდილ კაცად თვლის. რომანში ვხვდებით ამონარიდს: „**დღეს დემურს ავლახარში უნდა იჩხუბა**“ ჩხუბი და თან სხვა უბანში. კაცობის მოპოვების უმოკლესი გზა. დემური თემურ ლენგივით იპყრობს უცხო უბანს. საინტერესოა უმიზეზოდ ჩხუბის ფენომენიც, რომელიც როგორც გაზრდა/დაკაცება, ისე ითარგმნება. გაზრდა ამისა, როდესაც დემური ჩხუბს დედამისთან განიხილავს, რითიც ეს უკანასკნელი ძალიან შემოფოთებულია და ეკითხება რატომ იჩხუბეო, გვერდითა ოთახიდან მამამისის რეპლიკა ესმის: „**იმიტომ იჩხუბა, რომ კაცია**“. ეს მონაკვეთი ნათლად მიგვანიშნებს, თუ როგორ არის წახალისებული ჩხუბი, როგორც ბავშვობიდან კაცობაში გადასვლის უტყუარი ინდიკატორი.

სულ არ უნდა დემურს, რომ იჩხუბოს და ემეგობროს ისეთ ბიჭებს, რომლებიც მოჩხუბრებად ითვლებიან, მაგრამ მაშინ ვერც თვითონ გადარჩება და არც მოეწონებათ, რადგან მათ არ უყვართ მშვიდი და ინტელექტუალური ბიჭები. მთავარია, იყოს „კაცური“, ანუ ჩხუბობდეს და იცავდეს ქალს. ქალს მისი შიშით ვერავინ ვეღარ უნდა ეკარებოდეს. „ბოლო ზარში“ ვხვდებით ფრაზას: „ინტელექტმფრქვეველი, სიტყვაგაკრეფილი და ნასწავლნაღვაწი ყმაწვილი მხოლოდ ბებიებს ეხატებათ გულზე. მათ შვილიშვილებს, გოგონებს, ჩვეულებრივ უმიზეზოდ დაბღვერილებსკენ მიუწევთ გული“²⁸.

ისევ „ბოლო ზარში“ ჩანს, როგორ აფასებენ გოგონები მოძალადე, მკვლელ, პატარა ბიჭებს: „აუ ეს ნადრიკურა ეგ არაა, ძმაცაცის ნათლია, ქალაჩუნა ოთარ თევზაძე რო შემოაკვდა წყნეთში! – აღმოხდა ნინჩოს დაქალთაგან, სახელად ლელუკას“²⁹. რესპონდენტიც ამას ჰყვება, რომ ეს არის ორმაგი თამაში: ქალებს არ აქვთ ქალური უპირატესობა და ამიტომ შესაძლოა ზოგიერთი მათგანი კაცური უპირატესობით მანიპულირებს. ახალისებს მოძალადეობას. 90-იან წლებში უფრო, დღეს – ნაკლებად, მაგრამ მაინც. რომანში ჩანს, რომ გოგონებსაც ეს „გაზრდილი“ ძალადობის გზით ნაადრევად დაკაცებული ახალგაზრდა

27 რესპონდენტის მამას უბანში ყველა იცნობს, როგორც კარგ ადამიანს, რომელიც უფროს თაობასთან მეგობრობს.

28 ბულაძე ლ. „ბოლო ზარი“, გვ. 11.

29 იქვე, გვ. 15.

მამაკაცები მოსწონთ – „აგრესიული ნადრიკუჩა კიდევ უფრო მოეწონა ნინჩოს, ვგიჟდები გიჟ ბიჭებზეო“³⁰.

ერთგან ლაშა ბულაძე კაცის მოკვლის გამო ბოძებულ „შარავანდედზე“ კი საუბრობს, რომელიც საკმაოდ საინტერესო მოვლენაა. ახალგაზრდა კაცი ძალადობით, მკვლელობით მოიპოვებს ზრდასრულის შარავანდედს, კაცის სტატუსს: „დემური დუმდა, ნინჩოს გამო კაცს ვერაფრით მოკლავდა. მაგრამ, იქნებ სწორედ ეს აკლდა – ნორჩი მკვლელის შარავანდედი, ნინჩოს სხვებისგან რომ გამოერჩია?“³¹ ეს მკვლელის სტატუსი, სინამდვილეში, პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალისა და სივრცის საუკეთესო მცველად ითარგმნება. ის, ვინც კაცს კლავს, შენც კარგად დაგიცავს.

შეჯამებისთვის, მივიღეთ თბილისური ახალგაზრდა მასკულიზმების კიდევ ორი სახე: „სივრცესა და ქალებს იცავს ჩხუბითა და სისხლით, შესაბამისად, კაცია“, **მოდლაღე მცველი**, და „სივრცესა და ქალებს ვერ იცავს ჩხუბითა და სისხლით, შესაბამისად, ბავშვია“ – **ჩმორი. კაცი დაგიცავს, ბავშვი შენი დასაცავია**.

30 ბულაძე ლ. „ბოლო ზარი“, გვ. 56.

31 იქვე, გვ. 121.

VII სექსი, ემოციები, ინტიმურობა

მიღებულია, რომ აბრაამულ რელიგიებსა და კულტურებში ადამიანებს სექსი მხოლოდ გამრავლებისთვის უნდა ჰქონდეთ. რეპროდუქცია სექსუალობის სწორად გამოყენების ხერხად მიიჩნევა. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა კაცებს სექსი მხოლოდ სიამოვნებისთვის ექნებათ, ეს დევიაციად ჩაითვლება. ახალგაზრდები, მათ შორის კაცები, რომლებსაც სურთ, რომ ეს ტრადიცია თუნდაც ინტელექტუალური ბრძოლით დაანგრეონ, ემოციურად ნადგურდებიან³². ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდა კაცების უმრავლესობა კონფორმიზმს ამჯობინებს და მიაჩნია, რომ სექსი და სიყვარული უნდა ტრანსფორმირდეს ოჯახად, სადაც მთავარი მიზანი რეპროდუქცია იქნება. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რადგან კაცურობა ოდითგანვე ასოცირდება გონებასა და ცნობიერებასთან, დომინანტური მასკულინობები ცდილობენ უარყონ სხეულები, სექსუალობები, სექსი, სიამოვნება და ემოციური ცხოვრება, როგორც ცხოველური, არაცნობიერი და ირაციონალური სამყაროს შემადგენელი ელემენტები, რომლებსაც კონტროლი სჭირდებათ. ეს რომ განხორციელდეს, პირველ რიგში, უნდა აკონტროლო ახალგაზრდა ქალების სექსუალობა, იმიტომ რომ, თუ ქალი იქნება სექსუალურად თავისუფალი, მაშინ ახალგაზრდა კაციც ვერ მოერევა თავს, სხეულს, სიამოვნებას და გონების სივრციდან გადაინაცვლებს ემოციების სივრცეში, დაკნინდება და გაბავშვდება. ეს მოვლენაც გაზრდა/დაკაცებასთან არის დაკავშირებული.

რესპონდენტიც ეთანხმება, რომ იმ გოგოსთან სექსის ამბები მეგობრებთან არ გაუზიარებია, ვისაც შეყვარებულად თვლიდა და საუბრობს მოვლენაზე, როდესაც თავიდან სხვა ბიჭებმა, მეგობრებმა, გოგო წარადგინეს სამეგობროში, როგორც „ნაშა“, ხმამაღლა ისაუბრეს მასთან სექსუალურ თავგადასავლებზე, მერე ცოლად მოიყვანეს და იმ ძმაკაცების უტყდებათ, რომლებთანაც თავიდან „ნაშად“ წარადგინეს. ეს „ნაშად წარდგენაც“ იმ მოვლენას ემსახურება, რომ თუ ქორწილამდე სექსი აქვთ ქართველ ბიჭებს გოგოსთან, წინის გამო შეიძლება გულის სიღრმეში მაინც დევიაციად მიაჩნდეთ ეს მოვლენა და ცოლად სხვა გოგოს მოყვანა უნდოდეთ, ქალიშვილის. თან იციან, რომ „ნაშა“ ცოლად არ უნდა მოიყვანო, მაგრამ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჰგონიათ, უჩნდებათ მიჯაჭვულობა, მოჰყავთ „ნაშად“ წარდგენილი გოგო ცოლად და შემდეგ წარმოიქმნება ეს უხერხულობის განცდა მეგობრებთან. თუმცა, რესპონდენტის მიხედვით, ქალიშვილობის ინსტიტუტი მის გარშემო, მისნაირ ახალგაზრდა კაცებში თითქმის აღარ არის. მისი აზრით, ესეც დაკავშირებულია შემდგარ მამაკაცურობასთან და რაც უფრო ირყევა ახალგაზრდა მამაკაცის მამაკაცურობა, მით უფრო მეტად სურს მას ქალიშვილი გოგო ცოლად.

32 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“; p. 28.

„ქალიშვილობის ტენდენცია უკვე გადაშენდა თბილისში და მაგრად ასწორებს. ადრე იყო. თუ შენი კაცობა არ ირყევა, უკანასკნელი ბოზის ცხოვრებაც გკიდია.“

„ბოლო ზარშიც“ დემურის სიყვარულის ობიექტი და ნადრიკუჩას შეყვარებული ნინო ქალიშვილია. ქალიშვილობა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ქალს მხოლოდ გამრავლებისთვის უნდა ჰქონდეს სექსი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავენ, როგორც ეს ნადრიკუჩამ განიზრახა მას მერე, რაც გაიგო, რომ ნინომ სხვა შეიყვარა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი მოვლენაა დემურის სასიყვარულო ურთიერთობა მუსიკის მასწავლებელთან, რომელიც მასზე უფროსია და თუმცა მათი სექსი ბავშვის გაჩენით მთავრდება, დემური მაინც გამოყვანილია ემოციურ, უკონტროლო ბავშვად, რომელმაც ვერ შეძლო სხეულის მოთოკვა, ანუ ვერ იკაცა და ისეთი ქალი დააორსულა, რომელიც არ უნდა დაეორსულებინა.

წარმოიქმნება კიდევ ახალი სახის ახალგაზრდა მასკულინობა – ახალგაზრდა კაცი, რომელიც თოკავს თავის სურვილებს და აკონტროლებს გოგონათა სექსუალობას, **ასკეტი ინკვიზიტორი**, და ახალგაზრდა კაცი, რომელიც ვერ თოკავს თავის სექსუალურ სურვილებს და არ აკონტროლებს გოგონათა სექსუალობას, **ჰედონისტი ბავშვი**.

თუ ემოციური საჭიროებები ახალგაზრდა კაცისთვის აღქმულია, როგორც სისუსტე, ისინი სწავლობენ ინტიმურობის უარყოფას. „კაცებს ხშირად აქვთ ინტიმურობის შიში“³³. ახალგაზრდა კაცს შეუძლია გამოიყენოს სექსი, თუნდაც როგორც სიამოვნების მიღების საშუალება, მაგრამ არანაირად არ უნდა გადაიქცეს ეს ყველაფერი ინტიმურობად. ამიტომ, ახალგაზრდა კაცები ხშირად ამჯობინებენ მარტოხელობას, რომლითაც ახერხებენ საკუთარი სივრცის კონტროლის შენარჩუნებას. აქვთ ხანმოკლე ურთიერთობები, სადაც ინტიმურობას არ უზიარებენ პარტნიორს. ხდება ინტიმურობისა და სექსუალური სურვილების სეპარაცია, რათა ინტიმურობამ არ დააზიანოს კაცი. ახალგაზრდა კაცები გაურბიან ინტიმურობის გამო არსებულ მოწყვლადობას³⁴.

რესპონდენტის მიხედვით, ეს ყველაფერი ქართულ რეალობაში სხვაგვარად ხდება და ე.წ. მამაკაცურ პასუხისმგებლობას უკავშირდება, რომლის გამოც ახალგაზრდა კაცთან ასოცირებული ქალის ქცევაზე შემდეგში საზოგადოება ამ კაცებს სთხოვს პასუხს.

„მარტო ცხოვრება, რვა-ცხრა წელი ურჩევნიათ ბიჭებს, იმიტომ რომ იმ ქალთან სექსის ან ინტიმურობის კი არ ეშინიათ, არამედ იმის, რომ თუ ის ქალი უღალატებს ან სხვასთან წავა, მას სამოქმედო ექნება, რამე უნდა გააკეთოს და ამიტომ ეზარება, ძალადობაც, აქტიურობაც და პირველი, რასაც აკეთებს, უარს ამბობს ქორწინებაზე.“

33 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“, p. 120.

34 იქვე, გვ. 142.

ამ მოვლენას თავად რესპონდენტი საინტერესოდ აანალიზებს:

„ქალის პასუხისმგებლობა არის კაცის პასუხისმგებლობა. კაცის დანაშაულისთვის ქალი მორალურ წნეხს არ განიცდის, ხოლო ქალის ქცევისთვის – კაცი იწინებდა.“

„ბოლო ზარში“ ნადრიკუჩა მასზე შეყვარებულ ნინჩოს ეუბნება: „რატომ იმარავ თავს?!“ თითქოს, თვითონ ძალიან ცივია, სიყვარულთან შეხება არ აქვს და იმდენად მაგარი ტიპია, რომ ნინჩოს შეუყვარდა მხოლოდ და თვითონ არ აინტერესებს ის, როგორც ინტიმური პარტნიორი. თან ხშირად ემუქრება, იმიტომ რომ ეშინია ინტიმურობასთან ასოცირებული პასუხისმგებლობის და დამარცხების, ხშირად იმეორებს, რომ თუ ურთიერთობას გაუტრუხებენ, მერე ის „გამტრუხებელს პირში მისცემს და დედას *****“

ნადრიკუჩას სახით, ლაშა ბულაძე გვთავაზობს ახალგაზრდა მასკულინობას, რომელსაც სურს, რომ ჩანდეს ცივისსნლიანი, ინტიმურობისგან დაცლილი, ზრდასრული კაცი, რომელსაც ქალებიც კი ენანება მასთან სიახლოვის გამო, იმიტომ რომ თავს ცივად წარმოაჩენს. საბოლოო ჯამში კი, ემოციური, მოძალადე ახალგაზრდა კაცი გამოდგება, რომელიც ყველაფერს განიცდის და ეშინია პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, იმიტომ რომ მერე სამოქმედო აქვს და დასასჯელი ჰყავს ურჩი ქალი.

საინტერესოა ამავე რომანიდან ამ პერსონაჟის სიცივისა და უემოციობის სხვა სცენები, რომლებიც ზემოთ განვითარებულ მსჯელობას ეხმიანება: „არ ცეკვავდა მხოლოდ ფერმკრთალი და შავსათვალისანი ნადრიკუჩა, რომელიც რამდენიმე დაბლვერილ და ცნობისმოყვარე მონა-ძმაკაცთან ერთად იჯდა კუთხეში.“ ცეკვა და მხიარულება არაკაცურია. რომანში მოყვანილია ყველა მხიარული და, შესაბამისად, არაკაცური ქცევა, რის გამოც ლალი და არასტანდარტული ბიჭები დასჯილან თბილისში: „ოთარ ცინცაძე, მაგალითად, უბეჯითესი ბაღი, გაილახა პლენანოველი ჩარლიკას მიერ, მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონებს აცინებდა; გიორგი მაზმანიშვილი, გალახულ და გალანძლულ იენა, ვინმე ჭიჭიკას მიერ, მრგვალი ბალის მიდამოებში, აქ მოთრეული აღარ გნახოო. ჭიჭიკა, თურმე, გიორგის ალაღ ლექსებს გაულიზიანებია, რომელიც ამ უკანასკნელს ვინმე ხათუნასთვის მიეძღვნა ექსპრომიტად; ასევე, თოვლიან ბაკურიანში გალახულა და კინალამ დაჭრილა ინგლისიდან სულ ახლახან დაბრუნებული გოგიკო ლომთათიძე; კოტე, ზედმეტ სახელად, ფისო ჩაჩხიანს მხოლოდ იმიტომ გაულახავს, რომ გოგიკოს ცეკვის დროს ფეხი დაუდგამს მისი საცოლის, ვინმე ნანკას, კუთხეში მიგდებულ განავლისფერ ქურთუკზე.“³⁵ რესპონდენტიც იხსენებს:

35 ბულაძე ლ. „ბოლო ზარი“, გვ. 11.

„სკოლაში იყო შემთხვევები, ტიპი, რომელსაც ძაან კაი იუმორი ქონდა, ამის გამო ვილაცა გოგოებთან დამეგობრდა და დამეგობრდა უბრალოდ, განა რამე. მეგობრობს, კლასელები არიან, რა, ამ ტიპის შეყვარებული მოსულა და პასუხი მოუთხოვია მეგობრობისა და იუმორის გამო და ეს ეუბნება, ვაფშე არაფერ შუაში არა ვარ, ძმაო, რა გინდა, ძმაო, ის ეუბნება, როგორ არა ხარ, 24 საათი რას დაყვები კუდში? მე არ დაყვები, ეს ეუბნება, მე ეგეთი ტიპი ვარ, თვითონ დამყვებიან“.

წარმოიქმნება კიდევ ახალი სახის ახალგაზრდა მასკულიზმები, კაცური, უემოციო და დაბლვერილი მამაკაცურობა – **უტყვი მოძალადე**, და ბავშვური, ლალი და მხიარული მამაკაცურობა – **მოლაქლაქე კლოუნი**, რომელიც პირველი ტიპის მამაკაცმა უნდა დასაჯოს.

VIII ტრანსგროსიები

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური მოვლენებისა, რომელიც ახალგაზრდა კაცებს ახასიათებთ თბილისში, აღსანიშნავია ე.წ. ტრანსგრესიები. ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღებით ახალგაზრდები ანგრევენ იმ წესებს, რომლებიც შშობლების თაობამ და კულტურამ დაუდგინათ სამართავად. ისინი გრძნობენ, რომ მუდმივად სჭირდებათ ტრანსგრესია და სურთ სიმბოლური სიკვდილი იმისათვის, რომ ხელახლა დაიბადონ ზრდასრულებად³⁶. ტრანსგრესიის მიზანიც ისაა, რომ ერთ დღესაც გაიღვიძო კაცად და თავი ზრდასრულად ჩათვალო. ამიტომ, სავარაუდოდ, ყველა მოზარდი იღებს ალკოჰოლს და ცდილობს, მოკლას მასში არსებული ბავშვი, როგორც „ბოლო ზარში“, დემური სვამს ლუდს, ან დისკოთეკაზე ჩხუბობს. ჰგონია, რომ თუ რამეს დააშავებს, თუ ჩხუბისგან მოკვდება, ამით თავიდან დაიბადება და აღარ იქნება პატარა დემუცი, რომელიც ნინჩოს არ აინტერესებს.

ერთ-ერთი მთავარი ტრანსგრესია **მეძავებში წასვლაა**. ბორდელში მისვლით ახალგაზრდა კაცი სექსუალურად აქტიური ხდება და ამით „სრულდება ბავშვობა“³⁷. ეს არის გარკვეული სიმამაცე, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიჩინოს ახალგაზრდა კაცმა, რომ თავის სამეგობროში არ დაკნინდეს. ხშირად თანატოლების ჯგუფს მიჰყავს ბიჭი ბორდელში, მიუხედავად იმისა, არის ის მზად ამისთვის თუ არა. აქ სიყვარულსა და ინტიმურობაზე საუბარიც ზედმეტია, ასევე, იმ უხერხულობასა და სტრესზე, რომელიც შეიძლება კაცმა განიცადოს იქ მისვლისას, მაგრამ ეს არ უნდა გაამუდავნოს თავისი ჯგუფის მამაკაცურ კულტურაში. სექსი განაცხადია, სიმამაცის დემონსტრაცია, მამაკაცური იდენტობის დადასტურება³⁸. „ბოლო ზარშიც“ ვხვდებით ამ მსჯელობის დამამტკიცებელ პატარა მონაკვეთს: „ხურციძე ერთი-ორჯერ ბიძაშვილმა გოჩამ წაიყვანა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან და იქვე ჭკუაც დაარიგა, ტენავს ბოზებში ფულის გადაყრაო“³⁹. ანუ, მხოლოდ სიმამაცის დასამტკიცებლად ღირს ერთი-ორჯერ მეძავებში წასვლა, მუდმივად – არა. რესპონდენტის ნარატივშიც ბორდელში წასვლას რიტუალური დანიშნულება აღმოაჩნდა, როგორც კაცობის, თავზნებულაღებულობისა და სიმამაცის გამონატულებას:

36 Seidler J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“; p. 145.

37 ასე აღწერს ნორმა ფულერი თავის ნაშრომში „ახალგაზრდა კაცების მეძავებში სიარული პერუში“ ახალგაზრდა კაცების მეძავებთან მისვლას.

38 Seidler J. V. „Young Men and Masculinities; Global Cultures and Intimate Lives“; p. 145.

39 ბუღაძე ლ. „ბოლო ზარი“, გვ. 7.

„ჯერ ნახე, ფულის მოპოვების მხრივ რა გავაკეთეთ, ბოზებში რომ წავსულიყავით, ბავშვებმა, 13 წლისებმა, იმენა დამოუკიდებლად, ერთ-ერთ ბიჭთან, რომელიც ცხოვრობდა სკოლასთან, 18 წლის ბიჭთან, მაგის დახმარებით გავაკეთეთ ეგრეთ წოდებული მაზი, დავარეკინეთ მაზავშიკთან, იმან რაღაცა მაზი მიიღო, ჩვენ, ბარსელონას მოგება, მანტარის, თუ რაღაც გასვლა შემდეგ ეტაპზე და სამასდოლარიანი, ასდოლარიანი მაზი გავაკეთეთ, რო წაგვეგო, ასი დოლარი უნდა მიგვეტანა. მოვიგეთ და მოიტანეს სამასი დოლარი და ამ სამასი დოლარით, ჯერ კარგად დავლიეთ, რომ ცოტა პოროხი აგველო, შევვულიანდით, იმიტომ რომ ვიცოდით, მანამდე რო ვილაცას სიმორცხვისგან და რაღაცა, არ აუდგა, ალკოჰოლი, ვიცოდით, რომ ფეხებზე დაგვაკიდინებდა, დავლიეთ, წავედით. სიმართლე რომ გითხრა, ოდნავი სიამოვნებაც კი არ მიგვიღია, რაღაც პონტში მერჩივნა, რო ჩემი კაი მარჯვენათი მიმეცხო და უფრო მაგარი სიამოვნება მიმელო, მარა თავი კაცი გვეგონა, რა. ჩვენ ჩვენით წავედით, არც ბიძას წავუყვანივართ და არც ნათლიას. რის ფასად გავრისკეთ, ხო აზრზე ხარ, მაზი გავაკეთეთ, თავზე ხელი ავიღეთ.“

რესპონდენტის მტკიცებით, ვაჟიშვილობა ბავშვობასა და ვერდაკაცებასთან ასოცირდება:

„აუ, ვაჟიშვილი ხარ, ბიჭო, და ტიპისთვის ეგ იყო დამთრგუნველი და ტრაგედია იყო ხოლმე, აუ, ნახე, მე კიდე ვაჟიშვილი ვარ და ეს არ არის ვაჟიშვილი.“

ნაცვლად იმისა, რომ თბილისელმა ახალგაზრდა მამაკაცებმა, სექსუალობის, ინტიმურობისა და ლიაობის გზით, სასიყვარულო ურთიერთობები დაამყარონ თანატოლ ქალებთან, არ აკონტროლონ ისინი, არ დასაჯონ იმისთვის, რომ სხვა კაცებთან წავიდნენ, ან უბრალოდ მათთან ჯანსაღი სექსუალური ქცევებით დაკავდნენ, ბორდელში სიარულს ამჯობინებენ, რომელიც უემოციოა, სიამოვნებას არ ანიჭებთ, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ამ ნაბიჯის გადადგმით ისინი გაზრდილებად, დაკაცებულებად ჩაითვლებიან.

ტრანსგრესია – „მეძაგებში სიარული“ წარმოქმნის კიდევ ორი ტიპის ახალგაზრდა მასკულინობას: „თავზეხელაღებული ახალგაზრდა კაცი“, **ყალბი გმირი**, რომელსაც, ბავშვისგან განსხვავებით, არ ეშინია ისე მოქცევა, როგორც მას დიდ კაცად წარმოაჩენს, და „ფრთხილი, უმანკო, ახალგაზრდა კაცი“, **ვაჟიშვილი**.

IX კაცთან კონფლიქტის შიში

რესპონდენტის ნარატივში დამატებით გამომჟღავნდა რამდენიმე საინტერესო სოციალური მოვლენა. ერთ-ერთია: „**სხვა კაცებთან კონფლიქტის თავიდან არიდების მოვლენა, რომელიც იწვევს ქალზე ძალადობას/ფემიციდს**“. რესპონდენტის მიხედვით, კაცები მანიაკები არ არიან, მოკლე კაბებიც მოსწონთ და გამომწვევად ჩაცმული ცოლებიც, მაგრამ ცოლისთვის მოკლე კაბის აკრძალვა ემსახურება სხვა კაცებთან კონფლიქტისგან თავის არიდების მოვლენას – ვინმემ რამე რომ უთხრას მის ცოლს მოკლე კაბის გამო, ამან უნდა დაიცვას, „**ის“ იარლიყი რომ არ მიეწებოს. ქალების სხეულს კაცები ისევ საკუთარი იერარქიების შესაქმნელად იყენებენ. გარდა ამისა, ფემიციდი, როგორც მოვლენა, შესაძლოა კაცებთან კონფლიქტის თავიდან არიდების შედეგია.

„ყველა მოძალადე ამჯობინებს, ცოლი დაბრიდოს, ვიდრე იმ კაცს მოთხოვოს პასუხი. ქალის კვლა ყველას კიდია და კაცს თუ მოკლავ, მისმა მეგობარმა ან სანათესაომ შეიძლება შენც დაგბრიდოს, შური იძიოს.“

ლაშა ბულაძის „ბოლო ზარშიც“ ასეა, სანათესაო კლავს ნადრიკურას თავიანთი ნათესავი კაცის მკვლელობისათვის. ძმამ, შთამომავლობამ შეიძლება შური იძიოს, აი, ქალს თუ მოკლავ, ან სცემ, მას არავინ დაიცავს. ამიტომ ახალგაზრდა კაცები ამჯობინებენ, საკუთარი ღირსების აღსადგენად, რომელიც მოჩვენებითი და ხელოვნურად შექმნილია, მოკლან ქალი, ვიდრე სხვა კაცი. აქვე, ერთი საინტერესო მიგნება გამომჟღავნდა რესპონდენტსა და მკვლევარს შორის საუბრის შედეგად: კაცების ძალადობას ხშირად ვითომ აფექტით ამართლებენ. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ეს აღარ გამოდის აფექტი, გაცნობიერებული ქცევაა, თავი აარიდო სხვა კაცთან კონფლიქტს და მოკლა ქალი და ამით დაიბრუნო დაკარგული მამაკაცური უპირატესობა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რესპონდენტის ნარატივის ანალიზის შედეგად შეიქმნა, არის პასუხი შეკითხვაზე: **რატომ ვერ შეცვალა ვარდების რევოლუციამ ქართული ახალგაზრდა მასკულინობები და ისევ რატომ დარჩათ ქართველ ახალგაზრდა კაცებს ძალადობა მამაკაცურობის გამოხატვის ერთადერთ საშუალებად?**

რესპონდენტის მიხედვით, სახელმწიფო იყენებდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ისეთი ტიპის ძალადობას, როგორც მანამდე ქუჩაში ხდებოდა. ისინი ახალგაზრდა კაცებს არ მიეხმარნენ გაზრდაში, პირიქით, ისევ გადამეტებული ყურადღება, ზეწოლა და ძალადობა განაცდევინეს. ემანსიპაციისა და გაზრდის ნაცვლად კონტროლი და უნდობლობა, ქართველი ახალგაზრდა მამაკაცების ისევ გაბავშვებას იწვევდა. როგორც რესპონდენტი იხსენებს:

„ერთხელ დელისზე გამჩხრიკეს პოლიციელებმა, შარვალიც უნდა გაიხადო, ნასკები, ფეხსაცმელი. მაგას ეხლა ბებპრიძელი გააკეთებდა ედიკას დროს, თუ ძალოვანი სტრუქტურა ნაციონალების დროს, რა მნიშვნელობა ქონდა? ჯობდა, ქუჩაში გაეკეთებინათ ეგ, ვიდრე პოლიციელებს. პოლიცია სახელმწიფოს მაინც წარმოადგენს. ბებპრიძელი ქუჩიდან გადავიდა სახელმწიფოში და ახალგაზრდა მამაკაცების უმეტესობა ისევ დაბნეული და სხვაზე დამოკიდებული დარჩა.“

ეკილოგი

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისური ახალგაზრდა მამაკაცურობები დასავლური მასკულიზაციისგან განსხვავებული, დამოუკიდებელი სოციალური კონსტრუქტია, რომელზეც საბჭოთა სივრცეში გაზრდილი და პოსტსაბჭოთა სივრცეში ნაცხოვრები მშობლები, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია, გლობალიზაცია და ვარდების რევოლუციის დროინდელი გამოცდილებები ახდენს ზეგავლენას. თბილისელ ახალგაზრდა კაცებს, ისევე როგორც მსოფლიო პატრიარქალურ კაპიტალიზმში არსებულ სხვა ახალგაზრდა კაცებს, უფროსები აქაც სთხოვენ გაზრდას, დაკაცებასა და დამოუკიდებლობას, მაგრამ, ამავდროულად, საბჭოთა სოციალისტური ტოტალიტარული გამოცდილების გამო, მათი მუდმივი კონტროლი სურთ, როგორც მშობლებს, ისევე მთავრობებს. ეს უკანასკნელნი ვერ გადაეწყვიტა ახალი ტიპის საზოგადოებრივ მოწყობაზე, სადაც ადამიანი შეიძლება აღიქვას, როგორც უფრო დამოუკიდებელი და საკუთარი თავის პატრონი არსება. შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ ამ 30 წლის განმავლობაში მიგველო ახალგაზრდა მასკულიზაციები, რომელიც დამოუკიდებელია, თავად პატრონობს და უვლის საკუთარ თავს საქართველოში, მივიღეთ მშობლებზე დამოკიდებული, ადგილობრივ ქალებსა და თანატოლ კაცებზე მოძალადე ახალგაზრდა მასკულიზაციები, რომლებიც ცდილობენ, სხვებთან კავშირით, ქართველი ქალებისა და თანატოლების კონტროლით მოიპოვონ დაკარგული მამაკაცური უპირატესობა. თუ მეფის რუსეთში ქართველი კაცი იყო მოჩვენებითი გმირი მუშა, რომელიც ძმაცაცებთან ქეიფით იმყარებდა მამაკაცურობას, დამოუკიდებლობის პირველ დეკადში – ნაციონალისტი, რომლის კაცობაც სამშობლოსადმი მისი სიყვარულით იზომებოდა, ვარდების რევოლუციის შემდგომ და „ქართული ოცნების“ მმართველობის დროინდელი ქართველი ახალგაზრდა კაცი, კვლევის მონაცემების მიხედვით, შესაძლოა არის პატარა ბავშვი, რომელსაც ზრდასრულობის მიუხედავად, დედა დასდევს საჭმლით ხელში, ოჯახი ეხმარება, როდესაც უჭირს, 40 წლამდე ეძახიან გოგლიკოს; ეს არის კაცი, რომელსაც ჯერ არაფერი დაუმსახურებია, მაგრამ თავი მაინც სამყაროს ცენტრში მყოფ, გვარის გამგრძელებელ და უპირატეს მამაკაცად მიაჩნია; რომელიც ერჩის ქალებს იმ შემთხვევაში, თუ სიკვდილამდე მისი ერთგულები არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ თავად მათი მიტოვება შეუძლიათ.

კვლევის დასასრულს, მოცემულია რესპონდენტის ფრაზა, რომელიც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორი დადგმული და გარედან განპირობებულია ახალგაზრდა მასკულიზაციები, რომელიც ძალადობრივი და საშიში ხდება ერთმანეთისა და სხვების, განსაკუთრებით, ქალების მიმართ: „ახალგაზრდა თბილისელ მამაკაცში იმდენი ენერჯია და ემოციაა, იმდენად პატარა ბავშვივითაა დიდი ხნის განმავლობაში, რომ დარწმუნებული ვარ, არსებობენ ტიპები, ამ თაობაშიც ბიჭები, რომლებსაც, რომ გავა წლები და დღეები, არც ერთი დღე აღარ ემახსოვრებათ იმ ახალგაზრდული დღეების, როდესაც უამრავ ძალადობასა და დევნიცას ახორციელებდნენ საზოგადოებიდან გამომდინარე, იმიტომ რომ იძულებით გიწევს ამ ბიჭობის შესრულება და მერე ივიწყებ, გახსენებაც აღარ გინდა.“

ბიბლიოგრაფია

1. ბერეკაშვილი, ნ. „გენდერული თეორიების ანთოლოგია“, ჩოდოროუ, „იდენტურობა და სქესის როლი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
2. ბუღაძე, ლ. „ბოლო ზარი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
3. მორჩილაძე, ა. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2005.
4. Ashwin, S. “Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia”; “Once we were kings’: male experiences of loss of status at work in post-communist Russia”; Marina Kiblitkaya; Routledge; London and New York; 2001, pp. 90-105.
5. Connel, R. „Masculinities“; University of California Press, 2005.
6. Giddens, A. „Sociology, 6th edition“; Polity Press, 2009.
7. Lune, Howard; Bruce L., Berg; Qualitative Research Methods for the Social Sciences, 9th Edition Global Edition, Pearson Education Limited, 2017.
8. Seidler, J. V. „Young Men and Masculinities: Global Cultures and Intimate Lives“; ZED Books, London, New York, 2006.

